**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ბატონები

ბატონები, ბავშვთა გადამდებ ავადმყოფობათა (წითელა, ყვავილი, ქუნთრუშა, ყივანახველა) საერთო ხალხური სახელწოდება.

ქართველთა ძვ. რელიგ. შეხედულებით, ამ სნეულებებს იწვევდნენ ადამიანის მსგავსი პატარა ზებუნებრივი არსებები, ე. წ. ბატონები, ანგელოზები. დაავადებასაც შესაბამისად ყვავილ-ბატონები, წითელა-ბატონები, ხველა-ბატონები და ა. შ. ეწოდებოდა. არსებობდა ნამდვილი და ტყუილი, მაგ., ყვავილი და ჩუტ-ყვავილა, ე. ი. ტყუილი ყვავილი, თუმცა პატივისცემა ამ უკანასკნელსაც სჭირდებოდა.

მორწმუნეთა წარმოდგენით ბ. ამა თუ იმ სოფელში მობრძანდებოდნენ და რომელ ოჯახსაც ეწვეოდნენ, იქ ავადმყოფობა გაჩნდებოდა; სწამდათ, რომ მათ მუსიკა, ცეკვა, ყვავილები, ტკბილეულობა უყვარდათ და, თუ სურვილს აუსრულებდნენ, დაავადებაც იოლად გაივლიდა. ამიტომ ავადმყოფის პატრონები ბ-ის გასამხიარულებლად დგამდნენ ტკბილეულით გაწყობილ ტაბლას, უკრავდნენ ფანდურზე, მღეროდნენ ბ-ის საგალობელს, ცეკვავდნენ. ბ. ქართველთა უძველესი ნაყოფიერების ღვთაების დიდი დედა ნანას შვილებად მიაჩნდათ და „ნაწილიან ღვთაებად“ თვლიდნენ.

*ლიტ.*: Б а р д а в е л и д з е В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

***თ. ოჩიაური***